

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
---------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ეპ ჯორჯია მიწოდება და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. ფუნქციონირებადი საწარმო.....	10
4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	11
5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია.....	16
6. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული.....	17
7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	19
8. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	21
9. აქტივის გამოყენების უფლება	24
10. გაცემული სესხები	24
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	25
12. სხვა მოკლევადიანი აქტივები.....	26
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
14. სააქციო კაპიტალი.....	27
15. თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულება	27
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
17. სახელშეკრულებო ვალდებულებები	29
18. სხვა ვალდებულებები	30
19. ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე.....	31
20. შესყიდული ენერგია.....	32
21. მომსახურების ხარჯები	34
22. საგადასახადო ხარჯები.....	34
23. სხვა საოპერაციო ხარჯები	34
24. ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები).....	35
25. პირობითი ვალდებულებები	35
26. ფინანსური რისკის მართვა.....	37
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.....	44
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	45

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-8 და მე-10 შენიშვნებზე, რომლებშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 19 მარტი

თბილისი, საქართველო



**Building a better
working world**

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი
მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ
შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 19 მარტი

თბილისი, საქართველო

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში


	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	9	112	–
არამატერიალური აქტივები		5	8
გაცემული სესხები	10	212,392	200,211
სულ გრძელვადიანი აქტივები		212,509	200,219
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		8	12
გაცემული სესხები	10	61,835	64,165
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	94,877	95,207
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12	35,000	39,734
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	3,659	246
სულ მოკლევადიანი აქტივები		195,379	199,364
სულ აქტივები		407,888	399,583
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	100	100
გაუნაწილებელი მოგება		167,513	220,246
სულ საკუთარი კაპიტალი		167,613	220,346
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულება	15	350	439
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	18	75	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		425	439
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები		11	11
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	216,283	157,475
სახელშეკრულებო ვალდებულებები	17	16,038	14,432
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	7,518	6,880
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		239,850	178,798
სულ ვალდებულებები		240,275	179,237
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		407,888	399,583

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 მარტს.


მიხეილ ბოცვაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

2025 წლის 19 მარტი

თბილისი, საქართველო


ქრისტინე წერეთელი
ფინანსური მენეჯერი

2025 წლის 19 მარტი

თბილისი, საქართველო

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	19	858,250	899,581
სულ ამონაგები		858,250	899,581
სხვა შემოსავალი		43	34
შესყიდული ელექტროენერგია	20	(909,693)	(780,863)
მომსახურების ხარჯები	21	(4,955)	(4,601)
შრომითი დანახარჯები		(413)	(373)
საგადასახადო ხარჯები	22	(287)	(22,936)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(2,461)	(3,845)
(ზარალი)/შემოსავლები ფინანსური შემოსავლის/ხარჯის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე		(59,516)	86,997
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(29)	(3)
(ზარალი)/ შემოსავლები ფინანსური შემოსავლის/ხარჯისა და მოგების გადასახადის დარიცხვამდე		(59,545)	86,994
ფინანსური შემოსავალი	24	17,747	18,062
ფინანსური დანახარჯები	24	(10,931)	(3,511)
ფინანსური შემოსავალი, წმინდა		6,816	14,551
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(52,729)	101,545
მოგებიდან გადასახადები		–	–
საანგარიშგებო პერიოდის (ზარალი)/მოგება		(52,729)	101,545
საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი		–	–
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(52,729)	101,545

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1	118,957	118,958
აქციების გამოშვება (მე-14 შენიშვნა)	99	–	99
2023 წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	101,545	101,545
თავდებობის გაცემა (მე-15 შენიშვნა)	–	(256)	(256)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	220,246	220,346
2024 წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(52,729)	(52,729)
თავდებობის გაცემა (მე-15 შენიშვნა)	–	(4)	(4)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	167,513	167,613

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(52,729)	101,545
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		29	3
ფინანსური შემოსავალი	24	(17,747)	(18,062)
ფინანსური დანახარჯები	24	10,931	3,511
ცვლილებები ანარიცხებში	11	523	1,930
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		(58,993)	88,927
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაზრდა		(193)	(461)
მარაგების შემცირება/(ზრდა)		4	(12)
სხვა მოკლევადიანი აქტივების შემცირება/(ზრდა)		4,734	(19)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		58,808	37,588
სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა		1,606	2,818
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		594	(374)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		65,553	39,540
მიღებული პროცენტი	10,13	25,189	4,899
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		31,749	133,366
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		–	(1)
გაცემული სესხები	10	(95,087)	(186,667)
დაფარული სესხები	10	75,110	16,262
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(19,977)	(170,406)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები	24	47,945	65,050
ნასესხები სახსრების დაფარვა	24	(47,945)	(70,180)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	18	(19)	–
სააქციო კაპიტალის ზრდა		–	99
გადახდილი პროცენტი	16, 24	(8,582)	(3,641)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,601)	(8,672)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		3,171	(45,712)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		242	52
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	246	45,906
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		3,659	246

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ეპ ჯორჯია მიწოდება და მისი საქმიანობა

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2021 წლის 14 მაისს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად (საიდენტიფიკაციო ნომერი 405460594). კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია: ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24, 0186 თბილისი, საქართველო. კომპანია შედის ჯგუფში, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ჩეხეთის რესპუბლიკაში და რომელიც ფლობს საქართველოს, ბულგარეთის, თურქეთის, კოლუმბიის, ესპანეთისა და ბრაზილიის ენერგოსექტორებში მოქმედ მრავალ საწარმოს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა რეგულირებული მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდებაა. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მაისით დათარიღებული გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიას დაეკისრა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება 2021 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 1 ივლისამდე. საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება არის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონით ენერგეტიკული საწარმოსთვის დაკისრებული ვალდებულება, გასწიოს მომსახურება საერთო ინტერესისთვის. იურიდიული განცალკევების შემდეგ კომპანია თავის მიწოდების საქმიანობას ასრულებს საჯარო მომსახურების გაწევის სამი ვალდებულების საფუძველზე, რომელთაგან თითოეულს ფასწარმოქმნის განსხვავებული მეთოდოლოგია აქვს (საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება (i) ელექტროენერგიის მიწოდებაზე უნივერსალური მომსახურების ფარგლებში, (ii) საბოლოო მომხმარებლებისთვის, რომლებსაც არ გაეწევათ უნივერსალური მომსახურება და (iii) როგორც ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლისა. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ელექტროენერგიას აწვდის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განაწილების ქსელის ტერიტორიაზე, რაც წარმოადგენს მთლიან საქართველოს, გარდა დედაქალაქ თბილისისა და რეგიონებისა, რომლებიც დროებით არ კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ.

კომპანია 1.3 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება და ქვეყნის ტერიტორიის 85%-ს ფარავს.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“ (შემდგომში „უშუალო მშობელი საწარმო“), ენერგო-პრო ეი.ეს.-ის (შემდგომში „მშობელი საწარმო“) (ჩეხეთის რესპუბლიკა) სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმო. ამ უკანასკნელის აქციების 100%-ის მფლობელია ბატონი იარომირ თესარი, რომელიც ამასთანავე კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არ არის მითითებული.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 44,471 ლარით აღემატებოდა. 2024 წელს კომპანიამ განიცადა 52,729 ლარის ზარალი (2023 წ.: მიიღო 101,545 ლარის მოგება), ხოლო საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო 31,749 ლარის ფულადი ნაკადები (2023 წ.: 133,366 ლარი). ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. ეს შეფასება ითვალისწინებს შემდეგს:

- ▶ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას 118,489 ლარის სავაჭრო მოთხოვნებზე ფაქტორინგული ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული (მე-16 შენიშვნა) ვალდებულებებზე ფაქტორინგული ხელშეკრულება გაფორმდა ქართულ კომერციულ ბანკებთან ერთიდან ოთხ თვემდე ვადით. კომპანიის პროგნოზირებული შემოსავლებიდან და ფინანსური პოზიციიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შეძლებს ფაქტორინგული ხელშეკრულებების ასეთი დონის შენარჩუნებას;
- ▶ მშობელმა საწარმომ დაადასტურა, რომ აქვს კომპანიის მხარდაჭერის შესაძლებლობა და სურვილი, რაც გამოიხატება კომპანიისთვის საკმარისი ფულადი სახსრების გამოყოფით, რათა მან შეძლოს საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- ▶ ამჟამინდელ მარეგულირებელ ჩარჩოში სხვაობები ფაქტობრივ საბაზრო ფასსა და რეგულირებულ ფასს შორის შესწორებულია მომდევნო სატარიფო პერიოდში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „აკუმულირებული შესწორებები“ იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ტარიფები დაკორექტირდებოდა. მაგალითად, 2021-2023 წლებში წარმოქმნილი „აკუმულირებული შესწორებები“ გასწორდება მომდევნო პერიოდებში, რაც 2024 წლისა და 2025 წლის 1 იანვრიდან ტარიფის შემცირების მთავარი მიზეზი იყო (19 შენიშვნა). მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მოსალოდნელია, წმინდა ეფექტი წლების განმავლობაში რეგულირებულ ზღვარს არ გადასცდება, მერყეობა გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებისთვის საჭირო დამატებითი დაფინანსების ვადებზე და მოცულობაზე. კომპანია ამ მერყეობის დაფინანსებას მოელის ბაზარზე ხელმისაწვდომი რესურსების ათვისებით და მშობელი საწარმოსთვის და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საწარმოებისთვის გაცემული სესხების დაფარვის მოთხოვნით.

ხელმძღვანელობის აზრით, ამ ინიციატივების ერთობლიობა კომპანიას უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა განაგრძოს მომავალში გააგრძელოს.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და ოპერაცია მიმართულია ელექტროენერგიის რეალიზაციით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისკენ. ეს არის კომპანიის მთავარი მიზანი და ყოველდღიური საქმიანობა. კომპანიის ამჟამინდელი მიზნების მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და კლასიფიცირებულია პირველ ბიზნესმოდელში – ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად (H2C).

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა (სავალო ინსტრუმენტები) ყველაზე რელევანტურია კომპანიისთვის.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები.

სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

იმ კრედიტების შემთხვევაში, სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის დგება დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის რეზერვს ქმნის ბანკში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთებისთვის. კომპანია საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად მაშინ მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით გადახდები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტის მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული კრედიტის საგარანტიო საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს და ზარალის ოდენობა განსაზღვრულია. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს (16 შენიშვნა), ფინანსური გარანტიის ვალდებულებას (მე-15 შენიშვნა), ანარიცხებს და სხვა ვალდებულებებს (18 შენიშვნა), როგორცაა საგადასახადო ვალდებულებები.

მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებებს კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში, თუ მათ იგივე ხასიათი და ფუნქცია აქვს, როგორც სავაჭრო ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში, თუ მომწოდებელთან ფინანსური გარიგება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში გამოყენებული საბრუნავი კაპიტალის ნაწილია, შეთავაზებული უზრუნველყოფის დონე მსგავსია სავაჭრო ვალდებულებებისა და იმ ვალდებულებების ვადები, რომლებიც მიწოდების ჯაჭვის ფინანსური გარიგების ნაწილია, არსებითად არ განსხვავდება იმ სავაჭრო ვალდებულებების ვადებისგან, რომლებიც ასეთი გარიგების ნაწილი არ არის. მომწოდებელთან ფინანსური გარიგებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობების ნაწილში.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. საწყისი აღიარების შემდეგ, სესხებისა და ნასესხები სახსრების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

თავდებობის ხელშეკრულებები

თავდებობის ხელშეკრულებები საწყისი აღიარების შემდეგ ფასდება შემდეგ ორ თანხას შორის უდიდესით: (i) ზარალის რეზერვის ოდენობა და (ii) თავდაპირველად აღიარებული თანხა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, აკლდება ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ პრინციპების შესაბამისად აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხა.

(ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 0 შენიშვნაში.

(გ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

კომპანიებს აქვთ სამართლებრივი ვალდებულება, განახორციელონ საპენსიო შენატანები საპენსიო ფონდში დასაქმებულთა დარიცხული ხელფასების და სარგებლის 2%-ის ოდენობით.

(დ) გადასახადები

(i) მოგებიდან გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა, არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. თუ კომპანია გაანაწილებს დივიდენდებს, რომლებიც მიღებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგებიდან, მას შეუძლია გამოქვითოს ამ პერიოდებში დარიცხული ან გადახდილი მოგების გადასახადის თანხები, მაგრამ მაქსიმუმ იმ ოდენობით, რომელიც გადასახდელია განაწილებული მოგების შესაბამისად.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო ვალდებულებები საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, არარეზიდენტებზე გაცემული სესხები). ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს, აღირიცხება საოპერაციო გადასახადების მსგავსად და აისახება, როგორც საგადასახადო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (22-ე შენიშვნა).

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან ჩასათვლედი ან მისთვის გადასახდელი დღგ-ის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

(iii) დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის დაუზუსტებელ საგადასახადო პოზიციებს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ექვემდებარება დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაზრებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

(ვ) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ოპერაციების ანგარიშსწორებისა და, სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანისას საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯები.

(ზ) ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას

ელექტროენერგიის რეალიზაციის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ყოველთვიურად, მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე, და გამოითვლება სემეკის მიერ დადგენილი ტარიფების გამოყენებით. ელექტროენერგიის განაწილების, გადაცემის და მიწოდების ტარიფებს განსაზღვრავს სემეკი. მომხმარებელთა გამრიცხველიანებული მოხმარების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია მიიღება განაწილების ლიცენზიის მფლობელისგან – სს „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალურია და 2024 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ ან „გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური პირობებით“ – ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში;
- ▶ საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში – ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია აპირებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებას მომავალ პერიოდებზე, თუ ისინი ძალაში შევა.

- ▶ განმარტებითი შენიშვნები: ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე.

ამ ცვლილებების დანერგვის შედეგად, კომპანიამ წარმოადგინა დამატებითი განმარტებითი შენიშვნები მომწოდებლებთან თავისი ფინანსური გარიგებების შესახებ (16 შენიშვნა, 0 შენიშვნა).

6. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

კომპანია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც.

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

(ა) მოსაზრებები

(i) მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვის დროითი სხვაობები

ელექტროენერგიის გაყიდვის, ელექტროენერგიის განაწილების დანახარჯების და შესყიდული ელექტროენერგიის აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორების მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის არსებობს მიწოდებული ელექტროენერგია, რომლისთვისაც ჯერ არ არის წარდგენილი მრიცხველის ამონაწერი მომხმარებელისთვის. ისეთი ამონაგების გაანგარიშება, რომლებიც კომპანიამ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ქვითრები ჯერ არ წარუდგენია, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ აფასებს ხელმძღვანელობა განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობას, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დანაკარგებს ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ სხვაობა ფაქტობრივ და სავარაუდო აღრიცხვას ამონაგებსა და შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულებას შორის არაარსებითია.

(ii) განაწილების სისტემის ოპერატორისთვის წარდგენილი დეპოზიტი

2021 წლის 29 ივნისით დათარიღებული #19 დადგენილების 41-ე მუხლის თანახმად (ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესები), კომპანია ვალდებულია განათავსოს დეპოზიტი განაწილების ლიცენზიის მფლობელთან – სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“, რათა შეამციროს განაწილების მომსახურების საფასურის გადაუხდელობის რისკი. კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარუდგინა 39,715 ლარის დეპოზიტი. ეს თანხა განისაზღვრა განაწილების მომსახურების ღირებულებით 2021 წლის ივლისისთვის. შემდგომ, 2024 წლის ივლისში, განაწილების ტარიფების შემცირების გამო, დეპოზიტის თანხა 35,000 ლარამდე შემცირდა (მე-12 შენიშვნა). კომპანიას ასევე აქვს სავაჭრო ვალდებულებები სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაწეულ განაწილების მომსახურებასთან დაკავშირებით (16 შენიშვნა). თანხები ეხება იმავე მომსახურებას, თუმცა კომპანია არ აპირებს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვას ან აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ერთდროულად და, შესაბამისად, აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ბრუტოს საფუძველზე.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(i) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება

ჩვეული საქმიანობის პროცესში კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს აწარმოებს. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია 8 შენიშვნაში.

(ii) თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, თავდებობის ხელშეკრულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მაღალი ოდენობით: (ა) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობა; (ბ) თავდაპირველად აღიარებული თანხა, მინუს შემოსავლის კუმულაციური ოდენობა. საგანგებო ყურადღება დაეთმო დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული თავდებობის საწყის აღიარებას, ოპერაციების კომპლექსური აღრიცხვიდან გამომდინარე.

თავდებობის საწყისი სამართლიანი ღირებულება შეფასდა წლიური თავდებობის საკომისიოს პროგნოზის საფუძველზე, რომელსაც გადაიხდიდა მესამე მხარე „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში. 2024 წელსა და 2023 წელს გაცემული თავდებობის ღირებულება განაწილდა თავდებობის გამცემ ხუთ-შვიდ კომპანიაზე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები), ამ კომპანიების 2024 წლისა და 2023 წლისთვის ბიუჯეტირებული EBITDA-ს (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე) მიხედვით, შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაბამისი სავალო ინსტრუმენტების 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულება, შემცირებული აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობით, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღემატებოდა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (15 შენიშვნა).

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(iii) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გადაუხდელობის ობიექტური მტკიცებულება. კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურება უკავშირდება ინდივიდუალურად შეფასებულ მოთხოვნებს (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია იგი, თუ არა), ის ამ მოთხოვნებს შეიყვანს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე მოთხოვნების ჯგუფში და კოლექტიურად შეაფასებს მათ გაუფასურებას.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 5,069 ლარის და 4,780 ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველაზე ზუსტად ასახავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის შექმნილ შესაძლო რეზერვს 2024 წლისა და 2023 წლისთვის (11 შენიშვნა).

8. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2024 და 2023 წლებში კომპანიას ჰქონდა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები შემდეგ სამეურნეო სუბიექტებთან:

დაკავშირებული მხარის სახელწოდება

ურთიერთობა

ენერგო პრო ეი. ეს, ჩეხეთის რესპუბლიკა

მშობელი საწარმო

შპს „ჯიფაუერი“, საქართველო

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

სს „ოპპა“, საქართველო

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“, საქართველო

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“, საქართველო

უშუალო მშობელი საწარმო

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, საქართველო

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

8. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	უშუალო მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი საწარმო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ბ)	–	2,751	–
გაცემული სესხები (10 შენიშვნა)	73,093	12,718	188,416
სხვა მოკლევადიანი აქტივები (მე-12 შენიშვნა)	–	35,000	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ა)	–	45,179	–
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	–	129	–

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	უშუალო მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი საწარმო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ბ)	–	3,090	–
გაცემული სესხები (მე-10 შენიშვნა)	43,232	20,933	200,211
სხვა მოკლევადიანი აქტივები (მე-12 შენიშვნა)	–	39,715	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ა)	–	51,299	–
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	–	26	–

გარიგებები, მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ასე გამოიყურება:

	უშუალო მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი საწარმო
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზრებზე	–	2,085	–
ფინანსური შემოსავალი (24-ე შენიშვნა)	3,503	2,455	10,199
სხვა შემოსავალი	–	1	–
შესყიდული ელექტროენერგია	–	449,834	–
ფინანსური დანახარჯები (24-ე შენიშვნა)	–	837	–
მომსახურების ხარჯები	4,448	86	–
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	–	27	–

8. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

გარიგებები, მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ასე გამოიყურება:

	უშუალო მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი საწარმო
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზრებზე	–	1,104	–
ფინანსური შემოსავალი (24-ე შენიშვნა)	133	2,024	5,853
სხვა შემოსავალი	–	1	–
შესყიდული ელექტროენერგია	–	445,759	–
ფინანსური დანახარჯები (24-ე შენიშვნა)	515	616	–
მომსახურების ხარჯები	4,062	92	–

- (ა) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად მოიცავს განაწილების მომსახურებაში სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“ გადასახდელ 39,429 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 42,313 ლარი), შესყიდული ელექტროენერგიისთვის სს „ეპ ჯორჯია გენერაციისთვის“ გადასახდელ 5,738 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 7,738 ლარი) და შპს „ჯიფაუერისთვის“ გადასახდელ 0 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,249 ლარი).
- (ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება სს „ოპპას“ მიერ თავისი სწრაფი გადახდის ქსელის მეშვეობით მომხმარებლებისგან ამოღებული ელექტროენერგიის გადახდებისგან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ოპპამ“ 2,600 ლარი ამოიღო, მაგრამ ჯერ არ გადაურიცხავს კომპანიისთვის (2023 წლის 31 დეკემბერი: 2,920 ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2024	2023
მოკლევადიანი სარგებელი		
- ხელფასები	232	206
- პრემიები	19	17
სულ	251	223

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში შედიან დირექტორთა საბჭოს წევრები. კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა ხორციელდება უშუალო მშობელი საწარმოს მიერ და გადანაწილდება, როგორც მომსახურების ხარჯები, პროფესიული მომსახურების ღირებულება.

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

9. აქტივის გამოყენების უფლება

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლებების აღიარებული საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

	შენიშვნები	სულ
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	–
შემოსვლები	140	140
ცვთვის ხარჯი	(28)	(28)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112	112

10. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი		
უშუალო მშობელი საწარმო	23,976	–
მშობელი საწარმო	188,416	200,211
სულ გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	212,392	200,211
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი		
უშუალო მშობელი საწარმო	49,117	43,232
შპს „ჯიფაუერი“	12,718	20,933
სულ გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	61,835	64,165
სულ გაცემული სესხები	274,227	264,376

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცემული სესხების ცვლილების დინამიკა:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	264,376	80,705
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი (24-ე შენიშვნა)	16,157	8,010
წლის განმავლობაში მიღებული პროცენტი	(23,692)	(2,539)
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	95,087	186,667
სესხის ძირითადი თანხის დაფარვა	(75,110)	(16,262)
საპროცენტო შემოსავალზე დარიცხული გადასახადი	–	227
საკურსო სხვაობა, წმინდა	(2,591)	7,568
31 დეკემბრის მდგომარეობით	274,227	264,376

ვინაიდან სესხების მთლიანი ნაშთები დაკავშირებული მხარეებისთვის არის გაცემული, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა არ არის არსებითი და კომპანია არ აღიარებს შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
კომერციული და საჯარო სექტორისგან მისაღები თანხები	63,669	63,937
საყოფაცხოვრებო სექტორისგან მისაღები თანხები	33,672	33,093
სხვა	2,605	2,957
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(5,069)	(4,780)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	94,877	95,207

კრედიტით გაყიდვების შემთხვევაში, გადახდის საშუალო ვადა 15-20 დღეა. დაუფარავ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვს ყოველთვის აფასებს მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ოდენობით. სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფასდება დარეზერვების მატრიცის გამოყენებით, დებიტორის დეფოლტის ისტორიაზე დაყრდნობით და დებიტორის ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობის გაანალიზებით, რომელიც კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციის მიხედვით, მათ შორის დებიტორებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების, დებიტორის საქმიანობის სფეროს ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით და საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული პირობების შეფასებით. წარსულში მსესხებლების დეფოლტის გამოცდილების ისტორია მიღებულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს, ამჟამად განაწილების ლიცენზიის მფლობელი, სს „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“, რომელიც მანამდე ამავე მომხმარებლებისთვის ახორციელებდა განაწილების და მიწოდების მომსახურებას.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც შემდეგი ორი შემთხვევიდან რომელიმე დადგება: როდესაც გარკვეული ინფორმაცია მიანიშნებს დებიტორის მწვავე ფინანსურ სირთულეებზე და დავალიანების ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, მაგალითად, მიმდინარეობს დებიტორის ლიკვიდაცია ან დაწყებულია გაკოტრების საქმის წარმოება. ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნებიდან არცერთი არ ექვემდებარება იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილების დინამიკა:

	2024	2023
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	4,780	3,138
წლის დანარიცხები	523	1,919
ჩამოწერა	(234)	(277)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,069	4,780

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ანალიზი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

	ვადაგა- დაუცილე- ბელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	91-დან 180 დღემდე ვადაგადა- ცილებული	180-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
31 დეკემბერი, 2024 წ.						
დეფოლტის დროს მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება, სულ	88,231	6,095	1,859	836	2,925	99,946
მოსალოდნელი ზარალის დონე	0.30%	6.22%	40.51%	89.35%	100%	
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(265)	(379)	(753)	(747)	(2,925)	(5,069)
	ვადაგა- დაუცილე- ბელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	91-დან 180 დღემდე ვადაგადა- ცილებული	180-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
31 დეკემბერი, 2023 წ.						
დეფოლტის დროს მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება, სულ	91,662	3,330	1,174	730	3,091	99,987
მოსალოდნელი ზარალის დონე	0.31%	6.45%	43.53%	90.42%	100%	
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(285)	(232)	(511)	(661)	(3,091)	(4,780)

12. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გადახდილი ავანსები	35,000	39,734
სხვა მოკლევადიანი აქტივები, სულ	35,000	39,734

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 35,000 ლარისა და 39,715 ლარის საავანსო გადახდები შედგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის – სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“ გადახდილი დეპოზიტებისგან, განაწილების მომსახურების გადახდის უზრუნველსაყოფად მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების თანახმად (მე-8 შენიშვნა).

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნაღდი ფული		
ლარში გამოხატული	4	4
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში		
ლარში გამოხატული	3,589	241
ევროში გამოხატული	65	–
აშშ დოლარში გამოხატული	1	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	3,659	246

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში შედგება საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისგან. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს დაერიცხა 1,497 ლარის საპროცენტო შემოსავალი 2024 წელს (2023 წ.: 2,360 ლარი) (24-ე შენიშვნა).

14. სააქციო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი ნებადართული, გამოშვებული და განადგურებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 100 ათასი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ღირებულება 1 ლარია.

2023 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 99 ლარის ფულადი შენატანით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეული ჩვეულებრივი აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

15. თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულება

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გრძელვადიანი		
თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულება	350	439

თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულების ცვლილების დინამიკა ასე გამოიყურება:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	439	255
თავდებობის გაცემა	4	256
თავდებობის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი (24-ე შენიშვნა)	(93)	(72)
31 დეკემბრის მდგომარეობით	350	439

15. თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულება (გაგრძელება)

მშობელი საწარმოს მიერ გამოშვებული ყველა ობლიგაცია, 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უპირობოდ და შეუქცევადად არის თავდებობით უზრუნველყოფილი კომპანიის, სს „ეპ ჯორჯია გენერაციის“, სს „ეპ ჯორჯია ჰოლდინგის“, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, „ენერგო-პრო ვარნა EAD“-ის, „ენერგო პრო თურქეთი ჰოლდინგი ეი.ეს.-ისა“ და „REŞADIYE HAMZALI ELEKTRİK ÜRETİM SAN. VE TİC. A.Ş.“-ის მიერ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები). DK Holding Investments s.r.o.-ს მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს გამოშვებული ობლიგაცია უპირობოდ და შეუქცევადად არის თავდებობით უზრუნველყოფილი კომპანიის, სს „ეპ ჯორჯია გენერაციის“, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ და „ენერგო-პრო ვარნა EAD“-ის მიერ. შესაბამისი სამართლიანი ღირებულების აღიარება მოხდა პირდაპირ გაუნაწილებელი მოგების მეშვეობით, ვინაიდან გარიგება შედგა მშობელ საწარმოსთან, რომელიც მოქმედებდა, როგორც კომპანიის აქციონერი, და წრფივი მეთოდით ამორტიზდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მეშვეობით.

ძირითადი ვალდებულებების ჩამონათვალი, რომლებზეც თავდებობაა გაცემული, ასე გამოიყურება:

ობლიგაცია	თანხა	ვალუტა	ემისია	ვადა	თავდებობასთან	თავდებობასთან
					დაკავშირებული ვალდებულება 31 დეკემბერი, 2024 წ.	დაკავშირებული ვალდებულება 31 დეკემბერი, 2023 წ.
ობლიგაცია – 20 მლნ ევრო	20,000	ევრო	20-სექტ.-2024	2-ნოემბ.-28	4	–
ობლიგაცია – 300 მლნ ევრო	300,000	ევრო	27-ივლ-2023	27-ივლ-2035	149	162
ობლიგაცია – 300 მლნ აშშ დოლარი	300,000	აშშ დოლარი	2-ნოემბ.-2023	2-ნოემბ.-28	67	85
ობლიგაცია – 435 მლნ აშშ დოლარი	435,000	აშშ დოლარი	4-თებ.-2022	4-თებ.-2027	130	192
სულ					350	439

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
შესყიდულ ელექტროენერგიაზე გადასახდელი თანხები	146,368	98,513
განაწილების მომსახურებაზე გადასახდელი თანხები	39,429	42,313
გადაცემის მომსახურებაზე გადასახდელი თანხები	30,249	16,338
მომსახურებასა და მასალებში გადასახდელი თანხები	237	311
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	216,283	157,475

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიამ დანერგა ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან, რასაც კომპანიის მთავარი მომწოდებლებიდან ზოგიერთს სთავაზობს. გარიგებაში მონაწილეობა მომწოდებლებისთვის ნებაყოფლობითია. მომწოდებლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მომწოდებლის ფინანსურ გარიგებაში, მიიღებენ გადახდებს კომპანიისთვის გაგზავნილ ინვოისებზე კომპანიის გარე ფინანსური მომსახურების გამწვევისგან. ფინანსური მომსახურების გამწვევა ინვოისები რომ გადაიხადოს, ეს ინვოისები დამტკიცებული უნდა იყოს კომპანიის მიერ. მომწოდებლებისთვის გადახდებს ინვოისის თარიღამდე ამუშავებს ფინანსური მომსახურების გამწვევი და ყველა შემთხვევაში კომპანია ახდენს თავდაპირველი ინვოისის ანგარიშსწორებას ფინანსური მომსახურების გამწვევისთვის გადახდით ზემოაღნიშნული თავდაპირველი ინვოისის დაფარვის თარიღის შესაბამისად. მომწოდებლებთან შეთანხმებული გადახდის პირობები არ გადახედილა გარიგების შედეგად. კომპანია არანაირ უზრუნველყოფას არ წარუდგენს ფინანსური მომსახურების გამწვევს.

საწარმო მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებები დადო შემდეგი პირობებით:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა თერთმეტი ფაქტორინგული მომსახურების ხელშეკრულება ქართულ კომერციულ ბანკებთან. ყველა მათგანი გადასახდელია ელექტროენერგიის შესყიდვის სანაცვლოდ და გამოხატულია ლარში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ათი ფაქტორინგული მომსახურების ხელშეკრულება ქართულ კომერციულ ბანკთან, რომლებიც გამოხატული იყო ლარში. ყველა მათგანი გადასახდელია ელექტროენერგიის შესყიდვის სანაცვლოდ. კომპანია ამ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით მართავს თავის ლიკვიდურობას. 2024 წელს კომპანიას ამ ფაქტორინგულ შეთანხმებებზე დაერიცხა 7,745 ლარის საპროცენტო ხარჯი (2023 წ.: 2,380 ლარი).

ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (ლარი)	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
წარმოდგენილი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	118,489	70,686
– საიდანაც მომწოდებელს მიღებული აქვს გადახდები	118,489	70,686
გადახდის თარიღები (დღეები ინვოისის თარიღის შემდგომ)		
ვალდებულებები, რომლებიც გარიგების ნაწილია	30-124	62-63
შესადარისი სავაჭრო ვალდებულებები, რომლებიც არ არის გარიგებების ნაწილი	10-25	10-25

17. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ელექტროენერგიაში გადახდილი აგანსები		
მიწოდება კომერციული სექტორისთვის	1,342	992
მიწოდება მოსახლეობისთვის	4,641	3,855
სულ ელექტროენერგიაში გადახდილი აგანსები	5,983	4,847
მომხმარებელთა დეპოზიტები		
მიწოდება კომერციული სექტორისთვის	9,046	8,516
მიწოდება მოსახლეობისთვის	1,009	1,069
სულ მომხმარებელთა დეპოზიტები	10,055	9,585
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	16,038	14,432

17. სახელშეკრულებო ვალდებულებები (გაგრძელება)

ელექტროენერგიაში გადახდილი ავანსები

ელექტროენერგიაში გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომხმარებლების წინასწარ გადახდებს, რომელთა ათვისება ხდება ელექტროენერგიის მოხმარების პროცესში. მიღებული ავანსების შემთხვევაში, კომპანია მოელის ყველა თანხის მოგება-ზარალში ასახვას 2024 წლის 31 დეკემბრიდან, თავისი შესასრულებელი მოვალეობის პირობის დაკმაყოფილებიდან, ერთი წლის ვადაში.

მომხმარებელთა დეპოზიტები

სემეკის 2020 წლის 13 აგვისტოთი დათარიღებული #47 დადგენილებით „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ შესახებ, განისაზღვრა, რომ დავალიანების მქონე მომხმარებლებმა დეპოზიტზე უნდა შეიტანონ თანხა, რომელიც გამოითვლება აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის თვიურ თანხაზე დაყრდნობით. ამ დეპოზიტების უკან მოთხოვნა შესაძლებელია გადახდის ისტორიის გაუმჯობესების ან მოქმედი კრიტერიუმების შეცვლის შემდეგ.

2024 წლის განმავლობაში აღიარებული ამონაგები, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულების ნაშთში წლის დასაწყისში, ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ელექტროენერგიის გაყიდვა – არასაყოფაცხოვრებო	7,527	5,683
ელექტროენერგიის გაყიდვა – საყოფაცხოვრებო	2,842	1,981
სულ	10,369	7,664

18. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სხვა ვალდებულებები – გრძელვადიანი ნაწილი		
საიჯარო ვალდებულებები	75	–
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ	75	–
სხვა ვალდებულებები - მოკლევადიანი ნაწილი		
საგადასახადო დავალიანება	6,655	6,672
ავანსები	48	183
საიჯარო ვალდებულებები	45	–
სხვა ვალდებულებები	770	25
სხვა ვალდებულებები – მოკლევადიანი ნაწილი, სულ	7,518	6,880
სხვა ვალდებულებები, სულ	7,593	6,880

19. ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე

	2024	2023
უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი	481,746	491,858
- 380/220 ვ	480,930	490,929
- 10/6 კვ	816	929
საჯარო მომსახურების მიმწოდებელი	376,504	407,723
- 10/6 კვ	194,741	224,216
- 380/220 ვ	168,876	169,466
- 110/35 კვ	12,887	14,041
ელექტროენერგიის ადგილობრივი გაყიდვები სულ	858,250	899,581

ელექტროენერგიის გასაყიდ ტარიფებს საქართველოში არეგულირებს სემეკი. საბოლოო მომხმარებლის ტარიფი სამი კომპონენტისგან შედგება: მიწოდება (ელექტროენერგიის ღირებულება), განაწილება (გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურებისთვის), გადაცემა (გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის გადახდილი ტარიფი). უნივერსალური და საჯარო მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებლების საბოლოო ტარიფის დიფერენცირება დამოკიდებულია ქსელში ჩართვის ძაბვაზე, ხოლო საყოფაცხოვრებო სექტორის შემთხვევაში – თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე.

კომპანიისთვის დამტკიცებული მიწოდების ტარიფები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ასე გამოიყურებოდა (ქვემოთ ტარიფები არ არის წარმოდგენილი ათას ლარში და წარმოადგენს 1 კვტსთ ელექტროენერგიის ტარიფს):

ძაბვა	მოხმარება	სექტორი	თეთრი/კვტსთ	თეთრი/კვტსთ	თეთრი/კვტსთ
			(1 ივლისი, 2021 წ. – 31 დეკემბერი, 2023 წ.)	(1 იანვარი – 31 დეკემბერი, 2024 წ.)	(1 იანვარი – 1 ივლისი, 2025 წ.)
110/35 კვ		საჯარო	18.034	16.250	15.765
10/6 კვ		საჯარო	18.052	16.416	15.931
380/220 ვ		საჯარო	12.442	11.612	11.127
6/10 კვ		უნივერსალური	18.052	16.416	15.931
380/220 ვ		უნივერსალური	12.442	11.612	11.127
380/220 ვ	I ეტაპი	უნივერსალური	3.753	1.553	1.068
380/220 ვ	II ეტაპი	უნივერსალური	3.753	2.923	2.438
380/220 ვ	III ეტაპი	უნივერსალური	4.491	4.909	4.424

2024 წლის დეკემბერში მიწოდების ტარიფები კომპანიისთვის დამტკიცდა 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე პერიოდისთვის.

19. ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე (გაგრძელება)

კომპანია ამოიღებს საბოლოო მომხმარებლის ტარიფს მოხმარებული ელექტროენერგიისთვის, ტარიფის სამივე კომპონენტის ჩათვლით, და პირდაპირ გადაურიცხავს შესაბამისი მომსახურების მომწოდებლებს. კომპანია ამონაგებს აღიარებს მომხმარებლებთან გარიგების ფასის სრული ოდენობით, ბრუტოს საფუძველზე, ტარიფის გადაცემის და განაწილების კომპონენტების ჩათვლით, რაც მიიჩნევა ხელშეკრულების შესრულების ხარჯად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ნაშთები შედგება 16,038 ლარის სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 14,432 ლარი) (მე-17 შენიშვნა) და 92,272 ლარის სავაჭრო მოთხოვნებისგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 92,250 ლარი) (მე-11 შენიშვნა).

20. შესყიდული ენერგია

შესყიდული ელექტროენერგია მოიცავს შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულებას და გარანტირებული სიმძლავრის საკომისიოს, ასევე განაწილებისა და გადაცემის ხარჯებს:

	2024	2023
განაწილების ხარჯი (ა)	(368,837)	(405,298)
შესყიდული ელექტროენერგია (ბ)	(367,985)	(216,471)
გადაცემის ხარჯი (გ)	(115,804)	(102,948)
ესკოს გარანტირებული სიმძლავრე (დ)	(57,067)	(56,146)
სულ	(909,693)	(780,863)

- (ა) კომპანია საბოლოო მომხმარებლების მიერ გადახდილი მთლიანი ტარიფიდან განაწილების ნაწილს უხდის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს, რომელიც მოქმედებს, როგორც გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი და კომპანიის მიერ მოწოდებულ ელექტროენერგიას აბონენტებს აწვდის თავისი ქსელის მეშვეობით. სემეკის 2021 წლის 29 ივნისით დათარიღებული #33 დადგენილების თანახმად, განაწილების ტარიფები ასე გამოიყურება, რაც უცვლელი დარჩა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. 2024 წლის 1 იანვრიდან სემეკის 2023 წლის 25 დეკემბრით დათარიღებული 63-ე დადგენილებით შემცირდა განაწილების ტარიფები, რომლებიც ძალაშია 2026 წლის 1 იანვრამდე (ამ შენიშვნაში ტარიფები არ არის წარმოდგენილი ათას ლარში და აღნიშნავს 1 კვტსთ ელექტროენერგიის ტარიფს).

20. შესყიდული ენერგია (გაგრძელება)

მაბეა	მოხმარება	სექტორი	თეთრი/კვტსთ (1 ივლისი, 2021 წ. – 31 დეკემბერი, 2023 წ.)	თეთრი/კვტსთ (1 იანვარი, 2024 წ. – 1 იანვარი, 2026 წ.)
0.4 კვ		საყოფაცხოვრებ ო/არასაყოფა- ცხოვრებო	11.979	10.118
6/10 კვ		საყოფაცხოვრებ ო/არასაყოფა- ცხოვრებო	5.453	4.398
35–110 კვ		არასაყოფა- ცხოვრებო	3.257	2.350
0.4 კვ	0–101 კვტსთ	საყოფა- ცხოვრებო	8.609	8.118
0.4 კვ	101–301 კვტსთ	საყოფა- ცხოვრებო	11.979	10.118
0.4 კვ	301 და მეტი კვტსთ	საყოფა- ცხოვრებო	15.071	11.962

განაწილების ხარჯი მთლიანად მიკუთვნებადია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის. (მე-8 შენიშვნა)

- (ბ) კომპანია ელექტროენერგიას ძირითადად ყიდულობს ქართულ ბაზარზე მოქმედ ელექტროსადგურებისგან. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან შესყიდულმა ელექტროენერგიამ საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 80,997 ლარი (2023 წ.: 40,461 ლარი) (მე-8 შენიშვნა)
- (გ) კომპანია საბოლოო მომხმარებლების მიერ გადახდილი მთლიანი ტარიფიდან გადაცემის ნაწილს უხდის გადამცემი სისტემის ოპერატორს, რომელიც კომპანიის მიერ შესყიდულ ელექტროენერგიას თავისი მაღალი ძაბვის ქსელით გადასცემს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ქსელს. სემეკის 2021 წლის 29 ივნისით დათარიღებულ #33 დადგენილებაში შესული ცვლილების თანახმად, ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი 2024 წლისა და 2023 წლისთვის იყო 2.813 თეთრი 1 კვტ/სთ-ზე და 2.664 თეთრი ერთ კვტ/სთ-ზე, შესაბამისად. 2025 წლისთვის დადგენილი ტარიფი შეადგენდა 3.298 თეთრს 1 კვტ/სთ-ზე.
- (დ) ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი (ესკო) არის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანების ცვლილების საფუძველზე, და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის სტანდარტული ხელშეკრულებების მიხედვით, ესკო ვალდებულია ამოიღოს გარანტირებული სიმძლავრის საკომისიო.

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

21. მომსახურების ხარჯები

	2024	2023
პროფესიული მომსახურების ღირებულება (ა)	(4,512)	(4,119)
საიჯარო ხარჯი	(68)	(75)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(57)	(135)
სხვა	(318)	(272)
სულ მომსახურება	(4,955)	(4,601)

(ა) პროფესიული მომსახურების ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი მიკუთვნებადია უშუალო მშობელი საწარმოსთვის, რომელიც გასწევს ადმინისტრაციულ მომსახურებას.

აუდიტორის გასამრჯელო

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო გაუტოლდა 35 ლარს (2023 წ.: 34 ლარი), დღგ-ის გარეშე.

22. საგადასახადო ხარჯები

	2024	2023
დღგ-ის ხარჯი	(282)	(276)
არარეზიდენტზე გაცემულ სესხზე დარიცხული მოგების გადასახადი (ა)	–	(22,660)
სხვა	(5)	–
სულ საგადასახადო ხარჯები	(287)	(22,936)

(ა) 2023 წელს კომპანიამ თავისი მშობელი საწარმოსთვის გასცა სესხები (10 შენიშვნა). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, კომპანიამ დაბეგრა მშობელი საწარმოსთვის, არარეზიდენტი საწარმოსთვის, გაცემული სესხის მთლიანი თანხა მოგების გადასახადით და აღიარა შესაბამისი ხარჯი. გადასახადს დაიბრუნებს მშობელი საწარმოს მიერ სესხის სრულად დაფარვისთანავე.

23. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
სემეკის ლიცენზიის მოსაკრებლის საფასური	(1,122)	(1,178)
ესკოს მომსახურების საფასური	(782)	(734)
გაუფასურების რეზერვი და უიმედო ვალების ჩამოწერა (მე-11 შენიშვნა)	(523)	(1,919)
სხვა	(34)	(14)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	(2,461)	(3,845)

სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

24. ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები)

	2024	2023
შესყიდული სავაჭრო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი (16 შენიშვნა)	(7,745)	(2,380)
საპროცენტო ხარჯი	(837)	(1,131)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(2,349)	–
ფინანსური დანახარჯები	(10,931)	(3,511)
საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე (მე-10 შენიშვნა)	16,157	8,010
საპროცენტო შემოსავალი ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან (მე-13 შენიშვნა)	1,497	2,360
თავდებობის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი (მე-15 შენიშვნა)	93	72
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	–	7,620
ფინანსური შემოსავალი	17,747	18,062
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	6,816	14,551

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ისესხა ფულადი სახსრები სს „ეპ ჯორჯია გენერაციისგან“ 47,945 ლარის ოდენობით, რომლებიც სრულად არის დაფარული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ ისესხა ფულადი სახსრები სს „ეპ ჯორჯია გენერაციისგან“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგისგან“, შესაბამისად, 42,400 ლარისა და 22,650 ლარის ოდენობით, რომლებიც სრულად არის დაფარული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

25. პირობითი ვალდებულებები

გაცემული თავდებობა

2024 წლის 15 აგვისტოს კომპანიამ ცვლილება შეიტანა ესკოსთვის გაცემულ გარანტიაში საქართველოს ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების თანახმად, ვინაიდან საჯარო/უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლებს დაევალებათ საბანკო გარანტიის წარდგენა გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების, ესკოს მომსახურების საფასურისა და საბალანსო ელექტროენერგიის საბაზრო ფასის საკომპენსაციოდ. გარანტიის თანხა განისაზღვრა ესკოს მიერ, როგორც შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობის, საშუალო საბალანსო ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის პროგნოზირებული საბაზრო ფასების ნამრავლი. გარანტიამ შეადგინა 18,759 ლარი (2023 წ.: 19,919 ლარი) და დაფარვის ვადა ეწურება 2025 წლის 17 თებერვალს. გარანტიის დანარიცხები გაუტოლდა 50 ლარს და 135 ლარს, შესაბამისად, 2024 და 2023 წლებში და შევიდა მომსახურების ხარჯებში, როგორც გარანტიის საკომისიო.

კომპანიამ მშობელ საწარმოს და DK Holding Investments s.r.o.-ს წარუდგინა თავდებობა ირლანდიის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული თამასუქებისთვის. კომპანიამ აღიარა თავდებობასთან დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (15 შენიშვნა).

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად წარმოქმნილი პოტენციური ვალდებულებების შეფასება შეუძლებელია, მაგრამ მათ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული კანონები და ნორმატიული აქტები სწრაფად იცვლება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენები.

ბოლო წლებში საქართველოში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, ძირითადად, 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის მიზნით. მომხდარმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ამისთვის ნიადაგი კი მოამზადეს, მაგრამ მომავალში ცვლილებები კიდევ არის მოსალოდნელი.

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (შემდგომში - „კანონი“) 2019 წლის დეკემბერში და საფუძველი ჩაუყარა ენერგოსექტორის რეფორმას ენერგოსაზოგადოების საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ახალმა კანონმა დაიწყო დამოუკიდებელი, კონკურენტუნარიანი და ლიკვიდური ბაზრის ჩამოყალიბება, რაც მოიცავდა გადაცემისა და განაწილების სისტემის ოპერატორების გამიჯვნასა და სერტიფიცირებას, და ჰიდროელექტროსადგურების შემდგომ ლიბერალიზაციას. საქართველოში მიწოდების სეგმენტის ლიბერალიზაციის განხორციელება მოსალოდნელია საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 16 აპრილს ქვეყნის ელექტროენერგიის სექტორის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში მიღებული ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციაში წარმოდგენილი შეცვლილი საცალო ბაზრის გახსნის განრიგის მიხედვით.

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ამ დოკუმენტის მიხედვით, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს (ელექტროენერგიის საცალო ბაზრის გახსნა თავისუფალი კონკურენციისთვის) შემდეგ ეტაპებად:

- ▶ 2021 წლის 1 ივლისიდან: მაღალი ძაბვის მომხმარებლები 0.4 გვტს-ზე მეტი ყოველთვიური მოხმარებით;
- ▶ 2025 წლის 1 ივლისიდან: მაღალი ძაბვის და საშუალო ძაბვის მომხმარებლები 1 გვტს-ზე მეტი ყოველთვიური მოხმარებით; და
- ▶ 2026 წლის 1 ივლისიდან: ყველა დარჩენილი მომხმარებელი, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოების გარდა, რომლებიც მიერთებულები არიან დაბალი ძაბვის გამანაწილებელ ქსელთან.

დღით ადრე და დღიური ბაზრები, რომლებიც 2024 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა, ჯერ სატესტო ეტაპზეა, ვაჭრობა ნებაყოფლობითია და სისტემის უზალანსობა არ მოქმედებს. საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ამოქმედება 2025 წლის ივლისიდან იგეგმება. ენერგეტიკული ბირჟის, სენზის, სრულად ამოქმედების შემდეგ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი ელექტროენერგიას შეისყიდიან მხოლოდ დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე საბაზრო ფასად. სხვაობა საბაზრო ფასსა და სემეკის მიერ დამტკიცებულ საბოლოო მომხმარებლის ტარიფს შორის ანაზღაურდება ესკოსთვის/ესკოს მიერ სხვაობებზე გაფორმებული ხელშეკრულებების მეშვეობით ყოველდღიურად. ამის შედეგად, საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია გასცემს გარანტიას, რომ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი იყიდის ელექტროენერგიას რეგულირებული ფასით მთელი წლის განმავლობაში, რის შედეგადაც კომპანიის ფინანსური შედეგები ნაკლებად მერყევი იქნება. ხელმძღვანელობა მოელოს, რომ ეს გადასვლა დადებითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

26. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ შეასრულოს ან დროულად ვერ შეასრულოს კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ამის გამო კომპანიას მიაყენოს ფინანსური ზარალი. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად აქვს საოპერაციო საქმიანობიდან და ფინანსური აქტივები, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს, მეტწილად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებს. კომპანიას საქართველოში (დედაქალაქის გამოკლებით) მონოპოლისტური მდგომარეობა აქვს და მისი საქმიანობა რეგულირებას ექვემდებარება, ამიტომ სასურველი მომხმარებლების არჩევის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს.

სემეკის 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული #19 დადგენილების თანახმად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ქსელიდან ჩახსნას მომხმარებელი ელექტროენერგიის ქვიტორის გადაუხდელობის გამო.

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის მიზნით დროულად მიმართავს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს, რომ ქსელიდან გათიშოს ის მომხმარებლები, რომლებიც არ იხდიან ელექტროენერგიის დავალიანებას, თუმცა კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებელი არ იქნება დროულად გათიშული. კომპანია ასევე ემსახურება სოციალურად დაუცველ მომხმარებლებს, რომელთა გათიშვას ქსელიდან კომპანია ვერ შეძლებს მათი დავალიანების არასათანადო დაფარვის შემთხვევაშიც კი.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა დარეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორების დიდი რაოდენობის მომხმარებლებს შორის. რამდენადაც შესაძლებელია, მომხმარებლებისგან მიიღება უზრუნველყოფა ნაღდი ფულის ანაბრის სახით, რათა შემცირდეს გადაუხდელობის შემთხვევაში ფინანსური ზარალის რისკი (17 შენიშვნა).

საკრედიტო რისკი ფულად სახსრებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაქტები არიან დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკები.

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2024 წ.	შენიშვნა	გარე საკრედიტო რეიტინგი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები (i)	11	მიითითებული არ არის	97,341	(5,069)	92,272
სხვა მოთხოვნები (ii)	11	მიითითებული არ არის	2,605	–	2,605
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (iii)	13	BB-	3,655	–	3,655
გაცემული სესხები (iv)	10	მიითითებული არ არის	274,227	–	274,227
31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშვნა	გარე საკრედიტო რეიტინგი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები (i)	11	მიითითებული არ არის	97,030	(4,780)	92,250
სხვა მოთხოვნები (ii)	11	მიითითებული არ არის	2,957	–	2,957
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (iii)	13	BB-	242	–	242
გაცემული სესხები (iv)	10	მიითითებული არ არის	264,376	–	264,376

- (i) სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანიამ გამოიყენა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ მუხლებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს დარეზერვების მატრიცის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის ისტორიულ გამოცდილებას დებიტორების ვადაგადაცილებული სტატუსის მიხედვით და შესაბამისად კორექტირდება, რათა ასახოს ამჟამინდელი პირობები და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზი. აქედან გამომდინარე, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია დარეზერვების მატრიცაში მოცემული მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. 11 შენიშვნაში უფრო დაწვრილებით არის ასახული ამ აქტივების ზარალის რეზერვი.
- (ii) კომპანია ინდივიდუალურად გამოთვლის დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემულ სესხებსა და მათ მიმართ სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კომპანიის შეფასებით, ეს თანხები სრულად ამოღებადია დაკავშირებული მხარეებიდან და ამიტომ ამ დავალიანებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი არ შეუქმნია.
- (iii) ამ დეპოზიტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მთლიანად პირველ სტადიაზეა გაუფასურების აღიარების თვალსაზრისით.

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია უცხოურ ვალუტაში და პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებას ერთ ფაქტორში, როდესაც ყველა დანარჩენი ფაქტორი მუდმივია.

პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და გარკვეულ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს – მაგალითად, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსების ცვლილება.

(გ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად აისახება ცვლილებები სავალუტო კურსებში, რომლებიც კომპანიისთვის აქტუალურია. კომპანიის გარკვეული ოპერაციები უცხოურ ვალუტებშია გამოხატული. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებების მართვით კომპანიის დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	184,281	223,764	(39,483)	159,618	164,622	(5,004)
ევრო	188,481	153	188,328	200,211	–	200,211
აშშ დოლარი	1	197	(196)	–	–	–
სულ	372,763	224,114	148,649	359,829	164,622	195,207

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია:

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე
ევროს გამყარება 20%-ით	37,666	40,042
ევროს გაუფასურება 20%-ით	(37,666)	(40,042)

რისკის მოცულობა გამოთვლილია მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში.

(დ) საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად. ამავდროულად, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებული განაკვეთები აქვს და, შესაბამისად, რისკიც მცირეა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი შესყიდულ სავაჭრო ვალდებულებებზე.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის მქონე ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაუფარავი ვალდებულებების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო:

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე
საპროცენტო განაკვეთები 1.5%-ით გაიზარდა	(757)	(241)
საპროცენტო განაკვეთები 1.5%-ით შემცირდა	757	241

კომპანიის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ მიმდინარე წლის განმავლობაში შემცირდა ძირითადად შესყიდული სავაჭრო ვალდებულებების შემცირების გამო.

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ფულადი სახსრების ხელმისაწვდომ რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

კომპანია ცდილობს სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზის შენარჩუნებას, რომელიც ძირითადად შედგება კომპანიაში წარმოქმნილი საოპერაციო ფულადი ნაკადებისგან, ვალდებულებებისგან, და ნასესხები სახსრებისგან, რომლებზეც ფაქტორინგული ხელშეკრულებებია გაფორმებული, საჭიროების შემთხვევაში. კომპანია ფულადი სახსრების ინვესტიციას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ აუცილებლობაზე სწრაფი და უმტკივნეულო რეაგირება. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება გაცემული სესხებისგან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან და სხვა მოკლევადიანი აქტივებისგან. ეს უკანასკნელი მოიცავს განაწილების ლიცენზიის მფლობელისთვის გადახდილ დეპოზიტს ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების თანახმად (მე-12 შენიშვნა). ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და საბანკო ანაზღაურების ლიკვიდური პორტფელი შეიძლება რეალიზდეს ნაღდი ფულით ერთ დღეში, რათა დაკმაყოფილდეს ლიკვიდურობის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი საჭიროება.

ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	სულ
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-16 შენიშვნა)	209,056	7,227	–	216,283
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (მე-18 შენიშვნა)	7,425	–	–	7,425
თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულება (მე-15 შენიშვნა)	3,003,972	–	–	3,003,972
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	3,220,453	7,227	–	3,227,680

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	სულ
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-16 შენიშვნა)	129,496	27,979	–	157,475
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (მე-18 შენიშვნა)	6,672	–	–	6,672
თავდებობასთან დაკავშირებული ვალდებულება (მე-15 შენიშვნა)	2,872,423	–	–	2,872,423
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	3,008,591	27,979	–	3,036,570

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს აუთვისებელი საკრედიტო ხაზი 65,000 ლარის ოდენობით საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 65,000 ლარი). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს აუთვისებელი საკრედიტო ხაზი 65,000 ლარის ოდენობით უშუალო მშობელი საწარმოსგან.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

2025 წლის 1 ივლისიდან ელექტროენერგიის შესყიდვა მოხდება ღია ენერგეტიკულ ბირჟაზე („სენბი“). როგორც საქართველოს (თბილისის გარდა) მთავარმა მიმწოდებელმა, კომპანიამ ელექტროენერგია უნდა შეისყიდოს ენერგეტიკულ ბირჟაზე, სადაც კონკურენტუნარიანი ფასის ფორმირება ხდება გამჭვირვალედ და ცნობილი ბაზრის ყველა მონაწილისთვის.

სენბიზე ვაჭრობისა და წარმომდგარი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ უნდა გადაიხადოს დეპოზიტი ელექტროენერგიის შესყიდვისთვის, წარმოადგინოს საბანკო გარანტია ან სენბით ნებადართული სხვა ფორმა. გარდა ამისა, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს შესყიდული ელექტროენერგიის საფასური ყოველდღიურად, ნაცვლად ამჟამინდელი თვიური გადახდებისა. კომპანიას მოუხდება დამატებითი დაფინანსების მოზიდვა, რათა დააფინანსოს დეფიციტი ფულადი ნაკადების შემოსვლასა და გასვლას შორის, რასაც დააკომპენსირებს ტარიფი, სემეკის მიერ მომდევნო სატარიფო პერიოდისთვის დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით. კომპანიის ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა ქართულ კომერციულ ბანკებთან ერთად.

(ვ) კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანია საკმარისი კაპიტალის შენარჩუნება, რომ დამაკმაყოფილებლად წარმართოს თავისი ოპერაციები. კომპანიას არ უხდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნების დაკმაყოფილება.

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ელი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ საბაზრო მონაცემებს (ანუ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

(ა) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებითი შენიშვნებში

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

		31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
		სამარ- საბალანსო დონე		სამარ- საბალანსო დონე	
		ღირებულება	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხები (მე-10 შენიშვნა)	დონე 3	274,227	272,339	264,376	257,890

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, გაცემული სესხებისა და ნასესხები სახსრების გარდა, საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისგან.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ნასესხები სახსრებისა და გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის 10 თებერვალს კომპანიამ ორი წლით ვადით, 2027 წლის თებერვლამდე, სს ეპ „ჯორჯია გენერაციასთან“ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 65,000 ლარის ოდენობის თანხაზე.

2025 წლის თებერვალში კომპანიამ ესკოსთვის გაცემული გარანტიის ოდენობა 22,255 ლარამდე გაზარდა, რომელიც ძალაშია 2025 წლის 15 აგვისტომდე.